

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Scientific-Educational Institute of the Georgian Language
თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics



**პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის დაბადებიდან
100 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია**

**Scientific Conference
In Honour of the 100th Anniversary of the Birth
of Professor Elene Babunashvili**



**პროგრამა/თეზისები
Program/ Abstracts**

ოქტომბერი 23 October
თბილისი 2025 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
Scientific-Educational Institute of the Georgian Language
თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

**პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის დაბადებიდან
100 წლისთავისადმი
მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია**

**Scientific Conference in Honour of the
100th Anniversary of the Birth of
Professor Elene Babunashvili**

პროგრამა/თეზისები

Program/ Abstracts

ოქტომბერი 23 October
თბილისი 2025 Tbilisi

რეგლამენტი:

მოსხენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

Time Limit:

Presentation at the section meeting – 15 min

Participation in discussions – 5 min

Working language – Georgian

ოქტომბერი 23 October

10.30

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია
Registration of the Conference Participants

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ I კორპუსი, ოთახი 212
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 212

11.00 –12.00

კონფერენციის გახსნა/Opening of the Conference

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ I კორპუსი, ოთახი 212
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 212

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

Academician Jaba Samushia

Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

Professor Darejan Tvaltvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dean of the Faculty of
Humanities

მოგონებები

Memories

12.00– 12.30

შესვენება/Break

12.30. – 14.30

სხდომა I Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ I კორპუსი, ოთახი 212
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 212

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი რამაზ ქურდაძე
Chairperson – Professor Ramaz Kurdadze

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა

The Life and Scientific Work of Professor Elene Babunashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

რუსუდან ზეკალაშვილი

Rusudan Zekalashvili

პროფ. ელენე ბაბუნაშვილის მოღვაწეობის ერთი საინტერესო სფერო

One Interesting Area of Professor Elene Babunashvili's Work

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თინათინ ბოლქვაძე

Tinatin Bolkvadze

გამონაკლისთა გადმოტანა უცხო ენათა ბგერითი სისტემების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების დადგენისას

Transmission of Exceptions in Establishing Rules for the Transcription-Transliteration of Foreign Sound System into Georgian

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

მაია ღომია

Maia Lomia

პირის აღმნიშვნელი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ფორმალური და სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი ქართულსა და მეგრულში

The Issue of Formal and Semantic Differentiation of Indefinite Pronouns Indicating Person in Georgian and Megrelian Languages

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საღომე ომიადე

Salome Omiadze

საკვები, როგორც სოციალური კოდი: მჭადი ქართულ ლინგვოკულტურაში

Food as a Social Code: Mchadi (Corn Bread) in the Georgian Linguoculture

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

რუსუდან საღინაძე

Rusudan Saginadze

რამდენიმე სიტყვაფორმის სემანტიკური დიფერენციაციის საკითხისათვის (ნორმირების ასპექტით)

For the Issue on Semantic Differentiation of Several Word Forms (From the Perspective of Standardization)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ Akaki Tsereteli State University

14.30– 15.00

შესვენება/Break

15.00 – 17.00

სხდომა II Session

ილია ჭავჭავაძის გამზ., №1, თსუ I კორპუსი, ოთახი 212
1, Ilia Chavchavadze Avenue, TSU 1st Building, Room 212

სხდომის თავმჯდომარე – ასოც. პროფესორი ქეთევან მარგიანი
Chairperson – Associate Professor Ketevan Margiani

ინგა სანიკიძე

Inga Sanikidze

**XII საუკუნის ცოცხალი მეტყველება და „ვეფხისტყაოსანი“
The Living Speech of the 12th Century and *The Knight in the Panther's Skin***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გიორგი გოგოლაშვილი

Giorgi Gogolashvili

**გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „მიჯაჭვული რაინდების“
ენობრივი თავისებურება**

The Linguistic Peculiarity of Goderdzi Chokheli's Short Story *The Chained Knights*

თსუ ახნოდ ღიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი/TSU
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ქეთევან მაჩვიანი

Ketevan Margiani

**ზოგი ადგილის ზმნიზედისა და მათგან წარმოქმნილი სა-
ხელების სპეციფიკა სვანურში (სტრუქტურულ-სემანტიკური
ანალიზი)**

**The Peculiarities of Certain Place Adverbs and Their Derivatives
in Svan (Structural-Semantic Analysis)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ნანა ღოღაძე

Nana Loladze

„დგომის“ აღმნიშვნელი ზმნები ქართველურ ენებში (ძირითადი მნიშვნელობა და გაფართოების არეალი)

Verbs Denoting „Standing” in the Kartvelian Languages (Basic Meanings and Extended Uses)

თსუ ახნოდგ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი/TSU

Arnold Chikobava Institute of Linguistics

ღია ქაჩოსანიძე

Lia Karosanidze

ქართული გრამატიკული აზრის კვლევის საკითხები (ძველი და თანამედროვე თვალსაზრისები)

Issues in the Study of Georgian Grammatical Thought (Old and Present-day Viewpoints)

თსუ ახნოდგ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი/TSU

Arnold Chikobava Institute of Linguistics

მარია კიკონიშვილი, ნინო ჭუმბურიძე

Mariam Kikonishvili, Nino Tchumburidze

ასაკის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

The Lexical Units Denoting Age in Georgian

თსუ ახნოდგ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი/TSU

Arnold Chikobava Institute of Linguistics

ᲛᲠᲢᲠᲣᲠᲡᲠᲣᲠ

ABSTRACTS

თინათინ ბოლქვაძე

Tinatin Bolkvadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Department of State Language

**გამონაკლისთა გადმოტანა უცხო ენათა ბგერითი
სისტემების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-
ტრანსლიტერაციის წესების დადგენისას**

**Transmission of Exceptions in Establishing Rules for the
Transcription-Transliteration of Foreign Sound System
into Georgian**

საკვანძო სიტყვები: გამონაკლისები, ტრანსკრიფცია-
ტრანსლიტერაციის წესები, ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

Keywords: exceptions, recommendations
for transcription-transliteration, extralinguistic factors.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტში ამ დროისთვის უკვე მომზადებულია ორ ათეულზე მეტი უცხო ენის ბგერითი სისტემების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები. ამათგან ზოგიერთი ენისთვის ადრე დადგენილი წესები განახლდა, ზოგიერთი კი პირველად შეიქმნა, რაც გამოწვეულია ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს ახალ საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში ცხოვრებით, რომელმაც, თავის მხრივ, ახალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული საკითხები დასვა ქართული საზოგადოების წინაშე. ეს ცვლილებები აისახება ენაში. მოკლედ შეიძლება ასე დახასიათდეს ვითარება, რომელიც ქმნის ზოგად ფონს ქართული ენის ფუნქციონირებისათვის.

ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის დროს გამონაკლისთა ერთი ნაწილი კვლავ უცვლელად რჩება, მაგრამ გამოიყოფა ისეთი ფორმები, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითად, სლავურენოვანი საკუთარი სახელები, რომელთა გადმოტანისას აუცილებელია ამოსავალი ფორმების დაცვა და არა მათი გასწორება ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ ფორმებზე, რომლებიც ქართულ ენაში შემოვიდა რუსულის გავლით და/ან მისი გავლენით. შეცვლილ პოლიტიკურ კონტექსტში, ახალი საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე საზოგადოება კრიტიკულად აფასებს რუსულის გავლენით შემოსული ფორმების უცვლელად დატოვებას.

მოხსენებაში განიხილება ასეთი და სხვა ამგვარი გამონაკლისების ქართულ ენაში გადმოტანის საკითხები.

The State Language Department has already prepared more than two dozen guidelines on the transcription-transliteration of foreign sound systems into Georgian. Some of these previously established rules for languages have been updated, while others have

been created for the first time, due to Georgia's life in the new international political context of the 21st century, which, in turn, has presented Georgian society with new socioeconomic and cultural challenges. These changes are reflected in the functioning of the Georgian language.

In transcription-transliteration, some exceptions remain unchanged, but there are forms that cause disagreement. For example, proper names of Slavic languages stand out, which must be rendered in their original form rather than corrected on the basis of etymological research. The same can be said about forms that entered the Georgian language through Russian and/or its influence. In the changed political context and new format of international relations, Georgian society critically assesses the preservation of forms that have been influenced by the Russian language in their original form.

The paper deals with the transfer of such exceptions into the Georgian language.

გიორგი გოგოლაშვილი

Giorgi Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics

**გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „მიჯაჭვული
რაინდების“ ენობრივი თავისებურება**

**The Linguistic Peculiarity of Goderdzi Chokheli's Short
Story *The Chained Knights***

საკვანძო სიტყვები: გოდერძი ჩოხელი, მწერალი, ენა, სტილი.

Keywords: Goderdzi Chokheli, writer, language, style.

გოდერძი ჩოხელი ენობრივი თვალსაზრისით თაობაში გამორჩეული მწერალია;

მას აქვს თავისი ენობრივი პოზიცია.

მის პროზაში სალიტერატურო ენის ფონზე შეიძლება დავინახოთ, თუ რას ნიშნავს:

(ა) კარგი ცოდნა მშობლიური დიალექტისა;

(ბ) სურვილი არამშობლიური დიალექტის სტილისტურ-მხატვრული დანიშნულებით გამოყენებისა და

(გ) გამიზნული „ილუზიური ნაირსახეობის“ შექმნის ინტერესი...

განვიხილავთ მოთხრობა „მიჯაჭვულ რაინდებს“.

ეს მოთხრობა ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით რთული და საინტერესო ნაწარმოებია; მწერალი მოთხრობაში რამდენიმე სტილურ შრეს წარმოგვიდგენს.

ერთი მხრივ, გამოჰყავს თავისი მშობლიური დიალექტის წარმომადგენლები: თოთია და დედაბერი გუდმაყრელები არიან;

მეორე მხრივ – კახური დიალექტის წარმომადგენლები: ლუარსაბი და დარეჯანი; ისინი XX საუკუნის მიწურულის ქართველები არიან კახეთიდან;

მესამე მხრივ – ქართულად „ამეტყველებული“ სერვანტესის პერსონაჟები – დონ კიხოტი და სანჩო პანსა;

მეოთხე მხრივ – ამირანი – მითოლოგიური გმირი.

და წარმოვიდგინოთ ყოველივე ეს გოდერძი ჩოხელისეული სალიტერატურო ქართულის ფონზე. ავტორი ცდილობს, ყველა შრეს ჰქონდეს თავისი დამახასიათებელი ენობრივი სახე...

ვფიქრობთ, მწერალი წარმატებით ართმევს თავს დასახულ ამოცანას.

From a linguistic point of view, **Goderdzi Chokheli** is a distinguished writer of his generation.

He possesses a unique linguistic stance.

In his prose, against the background of literary Georgian, one can observe what it means to have:

(a) a strong command of one's native dialect;

(b) a desire to use a non-native dialect for stylistic and artistic purposes; and

(c) a deliberate interest in creating an „illusion of diversity”.

I will examine Goderdzi Chokheli's short story *The Chained Knights*.

From a linguistic-stylistic standpoint, this story is a complex and intriguing piece of writing.

In the narrative, the author presents several stylistic layers. On the one hand, he introduces characters who speak in his native dialect: **Totoia** and the **Old Woman** are **Gudamakarians** (from the Gudamakari region).

On the other hand, there are characters who speak in the **Kakhetian dialect**: **Luarsab** and **Darejan** – they are the end-of-the-20th-century Georgians from **Kakheti**.

Then, there are the characters of **Cervantes** – **Don Quixote** and **Sancho Panza** – who have been „given voice” in Georgian.

Finally, there is **Amirani**, the mythological hero.

And all of this is presented by Chokheli against the backdrop of **literary Georgian**.

The author makes a clear effort to give each layer its own distinctive linguistic character.

We believe the writer successfully accomplishes this task.

რუსუდან ზექალაშვილი

Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**პროფესორ ელენე ბაბუნაშვილის მოღვაწეობის
ერთი საინტერესო სფერო**

**One Interesting Area
of Professor Elene Babunashvili's Work**

საკვანძო სიტყვები: პროფესორი ელენე ბაბუნაშვილი,
ქართული ენა არაქართველთათვის,
ქართული ენის სასაუბრო, ყოფითი დიალოგები.

Keywords: Professor Elene Babunashvili, Georgian language
for Non-Georgians, Georgian language phrasebook,
everyday dialogues.

პროფესორი ელენე ბაბუნაშვილის საკვლევე ინტერესები და სამოღვაწეო სფერო მრავლისმომცველი და საინტერესო იყო. გარდა ძველი, საშუალო და ახალი ქართული ენის გრამატიკის, ლექსიკოლოგიის, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის, ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობის თეორიული საკითხებისა, ის მოიცავდა ქართულის სწავლების პრაქტიკულ მხარეებსაც. მისი ნაშრომები გამოირჩევა ენათმეცნიერული პრობლემების ახლებური გადაწყვეტითა და საინტერესო ხედვით, ღრმა ანალიზით, დამატებული არგუმენტაციითა და ხედვის ორიგინალურობით.

ქალბატონი ელენე უნივერსიტეტში ხანგრძლივად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას. გარდა ძირითადი საუნივერსიტეტო კურსების მაღალ დონეზე წარმართვისა, მან გააგრძელა აკად. აკაკი შანიძისა და აკად. ვარლამ თოფურიას მიერ დაწყებული სასარგებლო და საჭირო საქმე: არაქართველთათვის ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება. მეცნიერი ასწავლიდა უცხოეთიდან ქართულის შესასწავლად ჩამოსულ სტუდენტებსა და ასპირანტებს, წლების განმავლობაში უძღვებოდა ამ ტიპის სატელევიზიო კურსსაც. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები ამ სფეროში.

ელენე ბაბუნაშვილი თანამშრომლობდა იენის ფრ. შილერის უნივერსიტეტის პროფესორებთან გერტრუდ პეჩსა და ჰაინც ფენრიხთან. 1987 წელს სწორედ თბილისისა და იენის უნივერსიტეტების მეგობრული ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა წიგნი „ქართულ-რუსულ-გერმანული სასაუბრო“ (თანაავტორები: ჰაინც ფენრიხი და ნათელა ნადარეიშვილი), რომელიც დღესაც დახმარებას უწევს უცხოელებს ქართულის შესწავლაში. ანოტაციაში ნათქვამია, რომ სასაუბრო დაეყრდნო ნ. ნადარეიშვილის წიგნს **„ვისაუბროთ გერმანულად“ (1963), რომელიც მეორედ გამოიცა 1972 წელს.**

სასაუბრო მოიცავს არაქართველი სტუდენტებისათვის ქართულის სწავლების ერთ-ერთ რთულ სფეროს: ყოფით

კომუნიკაციას, დიალოგებსა და აუცილებელ ლექსიკურ ერთეულებს ადამიანის ყოველდღიური საქმიანობიდან. თავიდან წარმოჩენილია ქართული, რუსული და გერმანული წარმოთქმის თავისებურებები, შემდეგ კი მოცემულია 31 მონაკვეთი, თავის მხრივ, დაყოფილი შემადგენელ ნაწილებად. მაგ.: ყოველდღიური სიტყვა-პასუხი, საუბარი პირად საქმეებზე, უცხოეთში ჩასვლა, სასტუმრო, მგზავრობა, კაფე, რესტორანი, ხელოვნება, სპორტი, სასწავლო დაწესებულებები, მკურნალობა, ყიდვა-გაყიდვა, ტელევიზია, რადიო, წარწერები, მეცნიერული დისკუსია, ბიოგრაფია და სხვ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ფატიკური კომუნიკაციის ერთეულების დეტალური ჩვენება: გაცნობა, მისალმება, გამომშვიდობება, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა, მილოცვა, ასევე, საუბარი პირად საქმეებზე, ოჯახზე, თანხმობის, უარყოფისა და ემოციების გამოხატვა. თითქმის არაა დარჩენილი ვერბალური კომუნიკაციისთვის საჭირო სფერო, რომ არ იყოს სასაუბროში ჩართული.

პროფესორ ე. ბაბუნაშვილის თანაავტორობით გამოცემული ეს სამენოვანი სასაუბრო დღესაც კარგი დამხმარე საშუალებაა ქართული ენის შესასწავლად და კიდევ ერთხელ მოწმობს ქალბატონი ელენეს მრავალმხრივ მოღვაწეობას, დიდ გამოცდილებასა და პედაგოგიურ ალღოს არაქართველთათვის ქართულის სწავლების სფეროში.

The diverse spheres of interest reflected in the scientific works of Professor Elene Babunashvili were rich in content and valuable from a scholarly point of view. In addition to such fields as Old, Middle, and Modern Georgian grammar, lexicology, and the history of grammatical thought, her works also addressed theoretical issues concerning the linguistic peculiarities of Georgian and Armenian, as well as their interrelations. Furthermore, she dealt with practi-

cal matters connected to teaching Georgian to non-Georgians. Her scientific research reveals the author's deep analytical approach, combined with convincing arguments and original viewpoints.

Elene Babunashvili worked productively not only at the highest level of university studies but also continued the lines of research previously pursued by Academicians Akaki Shanidze and Varlam Topuria. She taught both local and international students and even conducted Georgian language courses on television.

Professor Elene Babunashvili collaborated with Friedrich Schiller University professors Gertrud Pätsch and Heinz Fähnrich. In 1987, thanks to the friendly ties between Tbilisi State University and the University of Jena, it became possible to sign a contract and publish the Georgian-Russian-German Conversation Book, which remains to this day a great aid for foreigners studying Georgian. This book has retained lasting relevance and continues to serve as an important resource for foreign learners of Georgian. According to its annotation, the work was based on N. Nadareishvili's *Let Us Speak German* (1963), republished in 1972. This work, which remains in use today, has proven to be an invaluable resource for non-native learners of Georgian.

This conversation book contains much more material than usual, including one of the most difficult aspects of learning Georgian – everyday communication, dialogues, and essential lexical units. It is divided into 31 sections, such as everyday conversation on personal matters, hotels, cafés and restaurants, art, sport, education, television, radio, scientific discussions, and phatic communication (greetings, introductions, farewells, thanks, congratulations, and so on).

This conversation book, co-authored by Prof. E. Babunashvili, is a highly useful manual for learning Georgian. It once again bears witness to her versatile scholarly work, vast experience, and remarkable pedagogical talent in the field of teaching Georgian to non-Georgians.

მარიამ კიკონიშვილი, ნინო ჭუმბურიძე

Mariam Kikonishvili, Nino Tchumburidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics

ასაკის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში

The Lexical Units Denoting Age in Georgian

საკვანძო სიტყვები: ლექსიკა, სემანტიკა, ასაკი.

Keywords: vocabulary, semantics, age.

ასაკი ადამიანის ერთ-ერთი უნივერსალური მახასიათებელია, რომლის ენობრივი გამოხატვა ყველა ენაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ქართულში ასაკის აღმნიშვნელი სახელები ფართო და მრავალშრიან სემანტიკურ ველს ქმნის. ეს სემანტიკური ველი მოიცავს როგორც ბიოლოგიურ, ასევე სოციალურ, კულტურულ, მეტალურ მნიშვნელობათა სისტემას, რაც აისახება ლექსიკური ერთეულების შინაარსსა და კონოტაციებში.

ასაკის გამომხატველი სახელების ერთი ნაწილი აღნიშნავს ასაკს, როგორც ზოგად ცნებას (ასაკი, ხანი, ხნოვანება, წლოვანება), მეორე ნაწილი კი გამოხატავს ხნოვანებას ადამიანის ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდს მიხედვით: ბავშვობა, ყრმობა, ყმაწვილობა, სიჭაბუკე, ახალგაზრდობა, ზრდასრულობა, მოწიფულობა, ხანდაზმულობა, მოხუცებულობა, სიბერე... ამ სახელთა გარდა ასაკის გამომხატველია სხვადასხვა სახელის ფუძისაგან წარმოქმნილი ზედსართავი სახელები: დროული, ასაკოვანი, სრულწლოვანი, მოწიფული, ხნიერი, ხნოვანი, ხანდაზმული, მოხუცებული, ჭარმაგი... საინტერესოა ამ სახელთა კლასიფიკაცია მათი ძირეული ლექსიკის მიხედვით.

ცნება ასაკის გამოხატვა, ბუნებრივია, პირველ რიგში, დაკავშირებულია დროის გამომხატველ სახელებთან: დრო, ხანი, წელი. დრო ასაკის გამოსახატავად რამდენიმე სიტყვაშია გამოყენებული, ესენია: დროული (ხნიერი, მოხუცი), დრომოქმული (საუბ. დაბერებული, ქეგლ), დროგადასული. არაერთი სახელი წარმოიქმნა სახელებიდან ხანი და წელი: ხნიერი, ხნიანი, ხნოვანი, ხანშიშესული, ხანდაზმული, ხანგადასული, წლოვანი, სრულწლოვანი, მცირეწლოვანი, უწლოვანი.

დრო-ჟამის აღმნიშვნელი სახელების გარდა, ასაკის სემანტიკის გამოხატვა დაკავშირებულია ადამიანის გარეგნობასთან, მის სხეულთან. სწორედ სხეული არის ასაკის (ძვ. ქართ. ჰასაკის) თავდაპირველი მნიშვნელობა, რაც ძველი ქართული ტექსტებით დასტურდება. როგორც ბაქარ გიგინეიშვილი აღ-

ნიშნავს, ამ სახელის მნიშვნელობის განვითარება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: „მოზრდილობა ანუ სიდიდე (ტანის ან წლოვანების)“ > „წლოვანების სიდიდე“. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, ეს სახელი შემოსულა ძველი ირანულიდან, რომელშიც შემდგომ დაიკარგა, სომხურსა და ქართულში კი დარჩა. თანამედროვე ქართულში ის მხოლოდ ასაკს აღნიშნავს. ასაკის დაკავშირება სხეულის ზრდასთან უნივერსალური ენობრივი მოვლენაა. ქართულში ზრდა ფუძე გვხვდება ასაკის გამომხატველ კიდევ არაერთ სახელში: მოზარდი, ახალგაზრდა, ზრდასრული, ზრდადასრულებული....

გარკვეულ მიჯნასთან მიახლოებას, მიღწევას უკავშირდება ძველი ქართულიდან შემორჩენილი სიტყვა მოწიფული (ასაკში მოსული – დავაჟკაცებული ან დაქალებული). თავისი მნიშვნელობით ის იგივეა, რაც „მოწეული“, „მწიფე“. თავის მხრივ, ზედსართავ სახელში მწიფე ა. შანიძე გამოყოფს მიმღეობის მაწარმოებელ მ – ე აფიქსებს, ხოლო წიფ ასე იშლება: წ ძირია, იფ კი იფ თემის ნიშნის ვარიანტია: წ-ევ – წ-ივ, (წ-ეფ –) წ-იფ, მი-ე-წ-ევ-ა – მი-ე-წი(ვ)-ა – მიე-წ-იფ-ა. ამავე ძირისაა ძველ ქართულში დადასტურებული მწუისი, რომელიც იგივეა, რაც ასაკოვანი, მოზრდილი, მომწიფებული. უმეტესად გვხვდება ჩვილის და ყრმის ანტონიმად (ბ. გიგინეიშვილი).

წლების სიმრავლეს გამოხატავს სახელი უხუცესი. როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, ის ძველისძველი დროიდან მომდინარეობს და წარმოშობით უფროობითის ფორმა ხ-უ-ც-ეს-ისაგან გაჩნდა ენაში, რომელიც ნიშნავდა უფროსს. ამ მნიშვნელობით ახლაც გვაქვს მისი ფონეტიკურად შესაფერისი სიტყვები მეგრულსა და სვანურში: უ-ჩ-ა-შ-ი და ხ-ო-შ-ა. საეკლესიო პრაქტიკაში ხუცესი იყო უფროსი მღვდელი, შემდეგ ამ სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და ახლა საზოგადოდ მღვდელს აღნიშნავს; ფუძეზე უფროობითის ხარისხის უ მაწარმოებლის მეორეული დართვის შედეგად კი მივიღეთ უხუცესი – ხნით ყველაზე უფროსი, უხნიერესი.

ასაკის აღმნიშვნელ სახელებში გვხვდება გარეგნობის ამსახველი ლექსიკაც. კერძოდ, ძველი ქართულიდან არის შემორჩენილი მხცოვანი. როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, ჯცე ნიშნავდა ჭაღარა თმას (მეგრ. ქჩე, ჩე - თეთრი), შესაბამისად, ხცოვანი – ხცით, ჭაღარით მოსილი ანუ მოხუცებული (მ-ს დართვით – მხცოვანი). მსგავსი წარმომავლობის არის ასაკის გამომხატველი კიდევ ერთი სახელი ჭარმაგი, რომელიც სპარსულიდან შემოსულა (სპარს. ჩარმაგ „თეთრს“, „თეთრ ცხენს“ აღნიშნავს). ქართულში ის ხანში შესული ვაჟკაცური იერის მქონე მამაკაცის მნიშვნელობით დამკვიდრდა.

ასაკის გამომხატველ საკმაოდ მრავალრიცხოვან სახელთაგან ზოგის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა, ზოგის მეცნიერული კვლევის შედეგად ხდება გასაგები და საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასაკის ლექსიკა ქართულ ენაში ორგანულად აკავშირებს დროის, სხეულის, ზრდის, გარეგნობის და გამოცდილების კატეგორიებს, რითაც ერთდროულად ინარჩუნებს როგორც ზოგადენობრივ, ისე ქართულისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიუანსებს.

Age is one of the universal characteristics of a person; its linguistic expression holds an important place in every language. In Georgian, nouns denoting age create a broad and multi-layered semantic field, which encompasses not only biological but also social, cultural and mental systems of meaning reflected in the content and connotations of lexical units.

Some nouns denoting age refer to age as a general concept (ასაკი (age), ხანი (age, time), ხნოვანება (age), წლოვანება (number of years)), whereas others denote age according to a certain period of human life: ბავშვობა (childhood), ყრმობა (juvenile age), ყმაწვილობა (adolescence), სიჭაბუკე (young age), ახალგაზრდობა (youth), ზრდასრულობა (adulthood), მოწი-

ფულობა (maturity), ხანდაზმულობა (old age), მოხუცებულობა (old age), სიბერე (old age)... In addition to these nouns, there are adjectives derived from nouns that express age: დროული (old-aged), ასაკოვანი (old-aged), სრულწლოვანი (of age), მოწიფული (mature), ხნიერი (elderly), ხნოვანი (old-aged), ხანდაზმული (old-aged), მოხუცებული (senile), ჭარმაგი (old-aged)... It is interesting to classify these lexical units based on their roots.

Expression of the concept of age is, naturally, connected to the words denoting time: დრო (time), ხანი (time), წელი (year). The root დრო (time) is used in several words denoting age: დროული (old, old-aged), დრომოჭმული (outdated), დროგადასული (old-aged). Numerous words are formed from the roots ხანი (time) and წელი (year): ხნიერი (old), ხნიანი (old-aged), ხნოვანი (old-aged), ხანშიშესული (old-aged), ხანდაზმული (senile), ხანგადასული (old-aged), წლოვანი (old), სრულწლოვანი (of age), მცირეწლოვანი (juvenile), უწლოვანი (juvenile).

In addition to the lexical units denoting time, age is expressed by the words denoting body and appearance. Initially, the word ასაკი /asaki/(age) (Old Georgian ჰასაკი /hasaki/) meant „body”. This can be proved by old Georgian texts. According to Bakar Gigi-neishvili, the semantic development of this lexical unit is as follows: „large size of body or age" > „large number of years". According to M. Andronikashvili, the word was borrowed from Old Persian. Later, the word was lost in Persian itself, but has been preserved in Georgian and Armenian. In modern Georgian, this word denotes only age. The connection between the growth of a human body and age is a universal language phenomenon. In Georgian, the root ზრდა (grow) is found in numerous lexical units denoting age: მოზარდი (teenager), ახალგაზრდა (young), ზრდასრული (adult), ზრდადასრულებული (mature)...

The Georgian word (mature) is related to achieving a certain boundary. Its meaning is the same as „მოწეული“ (mature), „მწიფე“ (ripe). In its turn, according to A. Shanidze, the adjective

მწიფე (ripe) contains participle-forming affixes მ – ე, whereas the stem წიფ is divided as follows: წ is the root, იფ is a variant of the base-marker იფ: წ-ეფ – წ-იფ, (წ-ეფ –) წ-იფ, მი-ე-წ-ეფ-ა – მი-ე-წი(ფ)-ა – მი-ე-წ-იფ-ა. Another old Georgian word მწუხი is of the same origin. Its meanings are: old-aged, adult, mature. This word is often found in the texts as an antonym of a child or a baby (B. Gigineishvili).

Multitude of years is also expressed by the word უხუცესი /ukhutsesi/ (the oldest). According to A. Shanidze, this word is an ancient superlative form of the word ხ-უ-ც-ეს-ი /kh-u-ts-es-i/, meaning „elder”. In Megrelian and Svan, there are phonetic equivalents of this word უ-ჩ-ა-შ-ი /u-ch-a-sh-i/ and ხ-ო-შ-ა /kh-o-sh-a/. Since, in the church vocabulary, ხუცესი /khutsesi/ meant a senior priest, the word changed its meaning and now it denotes a priest in general. As a result of later addition of the superlative marker უ /u/, we get უ-ხ-უ-ც-ეს-ი /u-kh-u-ts-es-i/, meaning „the oldest”.

The lexical units denoting age are also related to a change in the appearance. In particular, the old Georgian word which is still used - მხცოვანი /mkhtsovani/ (old-aged). As A. Shanidze notes, ჰცე /khtse/ meant gray hair (Megrelian ქჩე /kche/, ჩე /che/ - white). Thus, ხცოვანი /khtsovani/ meant gray-haired, i.e., old-aged (initial მ /m/ was added yielding მხცოვანი /mkhtsovani/ (old-aged)). Another word of similar origin is ჭარმაგი /charmagi/, which was borrowed from Persian (Persian ჩარმაგ /charmag/ means „white”, „white horse”). In Georgian, this word means a virile, senior man.

Thus, there are numerous Georgian lexical units denoting age. Some of them are of transparent etymology. The origin of others is identified by means of scientific research. In conclusion, it can be noted that in Georgian the lexical units denoting age represent an organic mixture of concepts of time, body, growth, appearance and experience. In this way, these lexical units preserve general linguistic peculiarities and, at the same time, express specifically Georgian nuances.

ნანა ლოლაძე

Nana Loladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics

**„დგომის“ აღმნიშვნელი ზმნები ქართველურ ენებში
(ძირითადი მნიშვნელობა და გაფართოების არეალი)
Verbs Denoting „Standing” in the Kartvelian Languages
(Basic Meanings and Extended Uses)**

საკვანძო სიტყვები: პოზიციის აღმნიშვნელი ზმნები, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ტიპოლოგიური კვლევა, სემანტიკური გაფართოება.

Keywords: posture verbs, cognitive linguistics, typological study, semantic extension.

„დგომის“ აღმნიშვნელ ზმნებს უწოდებენ „პოზიციის“ ზმნებს, ხაზგან ისინი ობიექტის (ფაქტო გაგებით) სივცეში ვეჩტიკადუხ პოზიციას გამობაგავენ (ლემენსი, 2002, გვ. 2). ეს ზმნები ენის აჩქად ფენას მიეკუთვნება და აჩაეხთი თავისებულებით ხასიათდება. ამ ზმნებში ჩვენ მოვიაზხებთ ხოგოხც საკუთხივ „დგომის“ აღმნიშვნელ ზმნას (დგას), ისე ავგოკაუზატიუხ (დგება) და კაუზატიუხ ზმნებს (დგამს/ აყენებს).

საგულისხმოა, რომ ტიპოლოგიურად ამ ზმნებისათვის დამახასიათებელია სემანტიკური გაფართოება, რასაც შედეგად, ერთი მხრივ, მათი მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, გრამატიკალიზაცია მოჰყვება.

უსულო ობიექტის ვეჩტიკადუხი მდებახეობის აღმნიშვნელ ზმნებს ქახთუდში, მეგხუდსა და დაზუხში საეხთო ძიხი აქვს -დგ: (ქახთუდი დგას, მეგხუდი დგუ(ნ), დაზუხი დგინ). ხაც შეეხება სვანუხ ზმნას დგგ, ამ ზმნის -გ ძიხს -დგ ძიხთანაც აკავშირებენ (თოფუხია, 1942).

განსხვავებას იძლევა ადამიანისა და სხვა სუდიეხთა ვეჩტიკადუხი მდგომახეობის აღნიშვნა, კეხძოდ, მეგხუდში ამ ფუნქციით დგუ(ნ) ზმნის ნაცვდად ახსებობის ზმნა ოხენ გამოიყენება: კოჩი გერე (კაცი ზე/ზედ არის/იმყოფება).

შდრ.:

ქართული – კაცი დგას

ლაზური – კოჩი დგინ

სვანური – მახე დგგ.

უსულო ობიექტებთან „დგომის“ აღმნიშვნელი ზმნის გამოყენება მისი სემანტიკის შემდგომი გაფართოებით, გარკვეულად შეზღუდულია. დგას ზმნა თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით შემდეგ შემთხვევებში გამოიყენება:

- საგანი ვერტიკალურად არის განლაგებული რაიმე ზედაპირზე;
- აღმართულია რაიმე მაღალი ნაგებობა, კონსტრუქცია;
- რაიმეში ასხია სითხე (ჭურჭელში);

- დარგულია ან ამოსულია ხე;
- გავრცელებულია, ტრიალებს სუნი;
- დამდგარია გარკვეული დრო.

დგას ზმნით აღინიშნება ავეჯის მდებარეობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს *ვეხტიკადუხად ოხიენტიხებუდია* ობიექტი თუ *ჰოხიზონტადუხად* – კარადა, მაგიდა, ტახტი, საწოლი *დგას*.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს *დგას* ზმნის გრამატიკალიზაციის შემთხვევები.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძინა *სივხცუდი პოზიციის გამომხატვედმა* ზმნებმა თანდათანობით უფრო განზოგადებული და გრამატიკალიზებული მნიშვნელობა, რაც ქართველურ ენებში პოზიციის ზმნების დინამიურ განვითარებაზე მეტყველებს.

The verbs denoting „standing” are classified as **posture verbs**, as they indicate the vertical position of an object (in a broad sense) in space (Lemmens, 2002, 2). These verbs belong to the archaic layer of the language and are characterized by numerous distinctive features. This category includes the verb meaning „is standing”, as well as the **autocausative** and **causative** verbs derived from it.

It should be noted that, typologically, these verbs often exhibit **semantic extension**. The results of such extension are twofold: on the one hand, **metaphorization** and, on the other, **grammaticalization**.

The verbs denoting the vertical position of inanimate objects in Georgian, Megrelian, and Laz share a common root – the stem **-dg-** (Georgian: *dgas*; Megrelian: *dgu(n)*; Laz: *dgin*). As for the Svan verb *-lag*, some Kartvelologists have linked its stem **-g** to the **-dg** root (Topuria, 1942). However, there are distinctions in how these lan-

guages express the vertical position of human versus non-human animate entities. In Megrelian, instead of the posture verb *dgu(n)*, the existential verb *oren* is used. For example: *kochi gere* – „the man is standing” (literally, „the man is on”).

Compare:

Georgian: *kaci dgas*

Laz: *koči dgin*

Svan: *mare lağ*

The extended use of posture verbs to indicate the location of inanimate entities is limited. In contemporary Georgian, *dgas* has the following meanings:

- a vertically positioned inanimate object on a surface;
- the location of tall buildings or structures;
- a liquid contained within a vessel;
- a planted or growing tree;
- a smell that spreads or lingers;
- or the arrival of a specific time or period.

The predicate *dgas* also denotes the placement of furniture. In such cases, the vertical or horizontal orientation of the object is not relevant. For example:

karada / magida / takhti / satsoli dgas – „the cupboard/table/couch/bed is standing.”

Cases of **grammaticalization** involving the verb „standing” are particularly noteworthy.

These cases illustrate the gradual transition from a verb of spatial position to more abstract and grammaticalized meanings, highlighting the dynamic evolution of posture verbs in the Kartvelian languages.

მაია ლომია

Maia Lomia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**პირის აღმნიშვნელი განუსაზღვრელობითი
ნაცვალსახელების ფორმალური და სემანტიკური
დიფერენციაციის საკითხი ქართულსა
და მეგრულში¹**

**The Issue of Formal and Semantic Differentiation
of Indefinite Pronouns Indicating Person in Georgian
and Megrelian Languages**

საკვანძო სიტყვები: განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები,
სტრუქტურა, სემანტიკა, ქართული ენა, მეგრული ენა.

Keywords: indefinite pronouns, structure, semantics, Georgian
language, Megrelian language.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის (SRNSFG) FR-21-352 საგრანტო პროექტის ფარგლებში.
The research has been implemented within the grants project (SRNSFG) FR-
21-352 of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

ქართულში პირის აღმნიშვნელი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები -*მე* და -*ღაცა* ნაწილაკების მიხედვით ქმნიან ორ სტრუქტურულ ტიპს: მარტივნაწილაკიანს - *ვინ-მე* და რთულნაწილაკიანს - *ვი-ღაცა*. მეგრულში, სტრუქტურულ-სემანტიკური მონაცემების გათვალისწინებით, განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა სამი ჯგუფია გამოყოფილი: კერძოდ, I ჯგუფში მოცემული *მითინი* შინაარსით ქართული „ვინმეს“ ფარდია; II და III ჯგუფის ნაცვალსახელები შინაარსით ქართულ „ვიღაცას“ უტოლდებიან, თუმცა ფორმალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; კერძოდ, III ჯგუფი ჰიპოტაქსური აგებულებისაა, I და II ჯგუფის ნაცვალსახელთა სტრუქტურა კი გამარტივებულია. ი. ყიფშიძემ შენიშნა მეგრულში განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ჰიპოტაქსური აგებულება, თუმცა ეს თვალსაზრისი არ განაზოგადა; მოგვიანებით გ. როგავამ ყველა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ქვეწყობისგან მომდინარედ მიიჩნია მათი ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია -*მე* და -*ღაცა* ნაწილაკიანი ნაცვალსახელები ზმნური დროის ფორმებთან შეხამების, პოზიციისა და წინადადების მოდალობის თვალსაზრისით; გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

წინამდებარე მოხსენების მიზანია ზემოდასახელებული სამი საკითხიდან ერთის განხილვა მეგრული მასალების მიხედვით და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების შეფასება ფორმალური მახასიათებლებისა და ზმნა-შემასმენელთან დროული შეხამების კუთხით; მიღებული შედეგების შედარება ქართულის მონაცემებთან.

ქართული *ვინმეს* ფარდი მეგრული *მითინი* სრული სახით შემდეგნაირად გამოიყურება: **მით-იყი-ნი* → *მითინი*, სიტყვა-სიტყვით: „*ვინც იქნება ხომ*“ = ქართ. „*ვინმე*“. აღნიშნული ნაცვალსახელის ერთ-ერთი ფორმალური მახასიათებელია

„ყოფნა“ ზმნა მომავალ დროში; საკუთრივ ნაცვალსახელიც შესიტყვებას მომავალი დროის ზმნა-შემასმენელთან ქმნის:

(1) *ქუმუხსო მითინი?* იგივეა, რაც ქართ. „მოვა ვინმე?“.

ქართულ ვილატას მეგრულში ბევრნაირი შესატყვისი აქვს: *მი-გიდა-ხე-ნი* || *მი-გიდ-ე-ნი* || *მი-გიდა*, სიტყვასიტყვით: „ვილატა ახის ხომ“ || „ვილატა“; აღსანიშნავია, რომ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით მეგრული მიგიდა ფორმა არ გამოიყენება; რაც შეეხება *მიგიდახენი* || *მიგიდენი* ფორმებს, მათი ერთ-ერთი შემადგენელია „ყოფნა“ ზმნა ახლანდელ დროში (-რე- || -ე- „არის“) და შესიტყვებასაც ახლანდელი (ან წარსული) დროის ზმნა-შემასმენელთან ქმნიან:

(2) *მიგიდახენი მუხს*, იგივეა, რაც ქართული ვილატა *მოცის*.

ამრიგად, პირის აღმნიშვნელი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ქართულსა და მეგრულში ერთნაირ ვითარებას გვიჩვენებენ შესიტყვებაში ზმნური დროის ფორმებთან შეხამების მიხედვით; განსხვავებულია მათი სტრუქტურა: ქართულში ვინ ჯგუფის სუბიექტის განუსაზღვრელობის გამოხატვა მხოლოდ ნაწილაკებითაა შესაძლებელი; მეგრულში ფორმალურ შემადგენელთა რიცხვი გაზრდილია „ყოფნა“ ზმნისა და მაქვემდებარებელი კავშირის საშუალებით. „ყოფნა“ ზმნის დრო სრულ თანხვედრაშია შესიტყვებაში მოცემულ ზმნა-შემასმენლის დროსთან. დროის გაგება რეალურია თუ ირეალური, ამის მიხედვით გვეძლევა ინფორმაცია პირის განუსაზღვრელობაზეც: იგი კონკრეტული უცნობი პირია თუ მისი არსებობა საეჭვო-სავარაუდოა. რამდენადაც ზმნა მნიშვნელოვანია განუსაზღვრელი სუბიექტის სემანტიკური დახასიათებისთვის, მეგრული, ქართულისგან განსხვავებით, ნაცვალსახელის სტრუქტურას მდიდარი ფორმალური საშუალებებით წარმოაჩენს; მათ შორისაა „ყოფნა“ ზმნის პირიანი ფორმაც.

The Georgian indefinite pronouns denoting person form two structural types by means of particles *-me* and *-yaca*. The types are: pronouns with simple particles - *vin-me* „somebody” and those with complex particles - *vi-yaca* „someone”. In Megrelian, there are three groups of indefinite pronouns, distinguished based on the structural-semantic data, namely: the pronoun of group 1 - *mitini* - semantically corresponds to the Georgian *vinme* „somebody”; pronouns of groups 2 and 3 semantically correspond to the Georgian *viyaca* „someone”. Yet, these pronouns differ formally; for instance, group 3 is hypotactic, whereas pronouns of groups 1 and 2 are of simple structure.

I. Kipshidze noted the hypotactic structure of Megrelian indefinite pronouns. However, he did not generalize this viewpoint. Later, G. Rogava argued that all indefinite pronouns were of hypotactic origin. Georgian linguists have analyzed pronouns with particles *-me* and *-yaca* from the viewpoints of their correspondence with verb tenses, their position and sentence modality. Reliable conclusions have been drawn in this regard.

The paper aims to analyze one of the above-mentioned three issues based on the Megrelian data and evaluate indefinite pronouns from the viewpoint of formal peculiarities and tense correspondence with the predicate verb. The outcomes of the research of the Megrelian material are compared with the Georgian data.

The correlate of the Georgian *vinme* „somebody” - Megrelian *mitini* - looks as follows in its complete form: *mit-i'i-ni → *mitini*, literally „whoever there will be” - Georgian *vinme* „somebody”. One of the formal components of this pronoun is the verb „to be” in the future tense. The pronoun itself forms a collocation with the predicate verb in the future tense:

(1) *kumurso mitini?* is the same as Georgian *mova vinme?* „Will somebody come?”

The Georgian pronoun *vigaca* „someone” has numerous correlates in Megrelian: *mi-gida-re-ni* || *mi-gid-e-ni* || *mi-gida*, liter-

ally „there is someone who“ || „someone“. It should be noted that the Megrelian form *migida* „someone“ is not used as an indefinite pronoun. As for the forms *migidareni* || *migideni* „someone“ one of their components is the verb „to be“ in the present tense (-re-||-e- „is“). Hence, they form collocations with the verb predicate in the present (or past) tense:

(2) *migidareni murs* is the same as Georgian *viyaca modis* „Someone is coming.“

Thus, the indefinite pronouns denoting a person have the same features in Georgian and Megrelian with regard to their correspondence with the verb tense forms. However, they differ in structure: In Georgian, the subject of the *vin* „who“ group expresses indefiniteness by means of particles, whereas in Megrelian, the number of formal components is larger, containing the verb „to be“ and the subordinating conjunction. The tense of the verb „to be“ fully corresponds to the tense of the predicate verb. The real or unreal time gives information about the indefiniteness of the person, who may be a concrete unknown person or whose existence is assumed/doubted. Since the verb plays an important role in the semantics of the indefinite subject, unlike Georgian, Megrelian presents the structure of the pronoun through rich formal means, including the personal form of the verb „to be“.

ქეთევან მარგიანი

Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**ზოგი ადგილის ზმნიზედისა და მათგან
წარმოქმნილი სახელების სპეციფიკა სვანურში
(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)**

**The Peculiarities of Certain Place Adverbs and
Their Derivatives in Svan
(Structural-Semantic Analysis)**

საკვანძო სიტყვები: სვანური ენა, ზმნიზედა, ფორმა, ნიუანსი.

Keywords: the Svan language, adverb, form, nuance.

სვანური ენა, როგორც დანარჩენი არასალიტერატურო ქართველური ენები, ხასიათდება ნიუანსების ფორმალიზების ტენდენციით. ეს მოვლენა ეხება ზმნიზედებსაც.

აგების პრინციპით (ფორმობრივად) სვანური ადგილის ზმნიზედები (*ჟი-ბ, ჩუ-ბ...*) ქართულ ადგილის ზმნიზედებს (*ზე-ვით, ქვე-ვით*) შეესაბამება: ორივე ენაში საანალიზო ერთეულების პირველი კომპონენტი თანდებულია.

რაც შეეხება სემანტიკას, ამ ორ ენაში სრული თანხვედრა არ არის; საანალიზო თითოეულ ქართულ ზმნიზედას სვანურში ორ-ორი შესატყვისი აქვს; ქართ. ზევით: სვან. ჟიბ (*ზევით ვერტიკალურად*) და ჟაბ (*ზევით ჰორიზონტალურად*), ქართ. ქვევით: - ჩუბ (*ქვევით ვერტიკალურად*), ჩაბ (*ქვევით ჰორიზონტალურად*).

შესაბამისად დიფერენცირდებიან აღნიშნული ზმნიზედებისგან წარმოქმნილი ზედსართავი სახელებიც - ზევითა/ზედა: ჟიბე -*ზევითა/ზედა ვერტიკალურად*, ჟაბე -*ზევითა/ზედა ჰორიზონტალურად*.

როგორც ენის სტრუქტურული ანალიზის, ასევე სწორი მეტყველებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ აღნიშნულ ზმნიზედებს მხოლოდ ლოკალურობის გამოხტვის უნარი აქვთ, მოძრაობის ზმნებთან კი სიტუაცია იცვლება: ვერტიკალურად გადაადგილების აღმნიშვნელად -აჟ ნაწილაკდართული საანალიზო (*ჟიბ, ჩაჟიბ*) ზმნიზედები გამოიყენება: *ჟიბაჟ ესხი* (*ზევითკენ მიდის*); ჰორიზონტალური გადაადგილების მაჩვენებლად კი რთული ზმნიზედები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი კვლავ „წინდებულია“: *დეჟა ესხი* „ზევით მიდის“, *დეჟა აჩად* „ქვევით ნავიდა“ (*ჰორიზონტალურად*); ეს უკანასკნელნი (*დეჟა, დეჟა*) -აჟ ნაწილაკის დართვის შემთხვევაში სემანტიკურად ქართულ -კენ თანდებულის ფორმებს შეესაბამებიან.

საანალიზო მოვლენის სიძველეზე მეტყველებს ტოპონიმები, რომელთა შემადგენლობაშიც ნაზმნიზედარი ზედ-

სართავები გვხვდება: ჟიბე მჰხლ - ჩჷიბე მჰხლ (ზედა მარდი - ქვედა მარდი) შდრ. ჟაბე ყაჩ - ჩჷაბე ყაჩ (ზედა ყარი - ქვედა ყარი); უშგულში: ჟიბიანი - ჩჷიბიანი შდრ. მუდახში: ჩჷაბიანი - ჟაბეშ... აღნიშნულ ზმნიზედათა მნიშვნელობები ერთმნიშვნელოვნად შეესაბამება ამ სოფელთა მდებარეობასა და რელიეფს.

ამრიგად, ნიუანსობრივი დეტალიზაცია, რაც არასალიტერატურო ენებისთვის არის დამახასიათებელი, სვანურ ადგილის ზმნიზედებში (შესაბამისად, მათგან წარმოქმნილ ზედსართავებში) ფორმოზივადაც არის გამოხატული, ძირითადი კომპონენტი ყველა საანალიზო ერთეულში წინდებულია (ჟი, ჩუ), რომელთა თანხმონითი ნაწილი მყარია, ხმოვანი კი - ცვალებადი, რასაც მნიშვნელობათა განმასხვავებლად იყენებს ენა.

Like other non-literary Kartvelian languages, Svan reveals a tendency of formalization of nuances. This phenomenon also refers to the Svan adverbs.

Structurally (formally), the Svan adverbs of place (ži-b, ču-b...) correspond to the Georgian adverbs of place (ze-vit (up), kve-vit (down)): in both languages, the first components of the units under analysis are prepositions.

As for the semantics, there is no complete coincidence between the two languages. Each of the Georgian adverbs has two correlates in Svan. Georgian zevit: Svan žib (up) and žäb (above), Georgian kvevit: Svan – čub (down), čwäb (below).

The adjectives derived from these adverbs also differ correspondingly: zevit/zeda: žibe – zevita/zeda (upper, vertically), žäbe – zevita/zeda (upper, horizontally).

For the structural analysis of a language and correct speech, it is important to note that these adverbs express only locality. How-

ever, the situation is different with regard to the verbs of movement: vertical movement is expressed by adding the particle -aw to the adverbs under analysis (žib, čub): žib-aw esxri (he goes up), whereas horizontal movement is expressed by complex adverbs with a „particle”: leža esxri „he walks above”, lekwa ačad „he walked below” (horizontally). If the latter adverbs (leža, lekwa) add the particle -aw, they semantically correspond to the Georgian forms with the postposition -k'en (to, towards).

The archaic nature of the phenomenon under analysis is proved by the toponyms containing adjectives derived from adverbs: žibe märy – čube märy (Upper Marghi – Lower Marghi) cf. žäbe x'är – čwäbe x'är (Upper Kari – Lower Kari); in Ushguli: žibiäni - čwibiäni cf. in Mulakhi: čwäbiäni – žäbeš... The meanings of these adverbs correspond to the location and relief of these villages.

Thus, detalization of nuances, which is peculiar of non-literary languages, is formally expressed in the Svan adverbs of place (and the adjectives derived from these adverbs). The main components of each unit under analysis are the prepositions (ži, ču). Their consonantal part is stable, whereas the vocalic part is changeable and enables differentiation between the meanings.

სალომე ომიადე

Salome Omiadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვები, როგორც სოციალური კოდი:

მჭადი ქართულ ლინგვოკულტურაში

**Food as a Social Code: Mchadi (Corn Bread) in the
Georgian Linguoculture**

საკვანძო სიტყვები: ქართული გასტროკულტურა,
სემიოტიკური მიდგომა, კულტურული კონოტაცია.

Keywords: Georgian gastroculture, semiotic approach,
cultural connotation.

თანამედროვე სოციოჰუმანიტარულ სამეცნიერო სივრცეში სულ უფრო აქტუალური ხდება ეროვნულ კვებით კულტურათა სემიოტიკური მიდგომით კვლევა. კულტურის სხვადასხვაგვარ განსაზღვრებათა შორის ერთ-ერთია ნიშანთა სისტემებისა და კულტურის ტექსტთა ერთობლიობად მისი წარმოდგენა. აღნიშნული ხედვით, კვების სფეროც (საკვების გემო, სუნი, ფერი, ტექსტურა, მისი მომზადებისა და მიღების წესები) საკომუნიკაციო სისტემად განიხილება, რომლის ელემენტები, ბუნებრივი ენის ერთეულთა მსგავსად, გადმოგვცემენ გარკვეულ მნიშვნელობებსა თუ საზრისებს. საკვები აღძრავს ასოციაციებს, რომელთა საფუძველზეც, მას დენტაციურ მნიშვნელობასთან ერთად, კულტურული კონოტაცია უვითარდება.

საკვები იტვირთება სიმბოლური მნიშვნელობით. საკვების მიხედვით შესაძლებელია მისი მომხმარებლის ეროვნული თუ რელიგიური იდენტობის განსაზღვრა. საკვების სხვადასხვა სახეობა გვევლინება დღესასწაულისა თუ გლოვის ნიშნად. საკვებმა, აგრეთვე, შესაძლებელია კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ლინგვოკულტურულ ერთობაში სოციალური კოდის როლი შეასრულოს.

ნაირგვარი მარცვლოვანი კულტურით მდიდარ საქართველოში პურთან ერთად ცხვებოდა მჭადი. ვიდრე სიმინდი შემოვიდოდა, მჭადს ძირითადად ფეტვისა და ფეტვნაირთა ფქვილით აცხობდნენ. ხორბლის პურის უპირატესობის აღმნიშვნელი მრავალი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-ლიტერატურული ტექსტი არსებობს. მის მაღალ ღირებულებასა და დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის პურეული მარცვლის უკმარისობას მოწმობს ნარევი ფქვილისაგან გამომცხვარ პროდუქტთა სახელმძღვანელო ლექსემები: მჭადპურა (ხორბლისა და ფეტვის, XVII საუკუნიდან – ხორბლისა და სიმინდის), ქერჭრელი (ხორბლისა და ქერის), ქერდიკა (ქერისა და დიკის; დიკა – საქართველოს მთიანეთში გავრცელებული

საგაზაფხულო ხორბალი) და მისთ. მართალია, გამტკიცული / თეთრი / წმინდა პური ფუფუნების ნიშანია მთელ ქართულ დისკურსში, შერეული პურები კი სიღარიბეს უკავშირდება, მაგრამ სიღარიბის საყოველთაო ნიშნად ქართულ გასტროლინგვოკულტურაში მჭადი მიიჩნევა.

მჭადს სიღარიბის აღნიშვნა დაეკისრა როგორც გლეხობის ყოველდღიურ საკვებს. მას რომ სოციალურ-ეკონომიკური კოდის ფუნქცია აქვს, დასტურდება ხალხური ზეპირსიტყვიერების მრავალი ნიმუშითა და არაერთი ლიტერატურული კონტექსტით. აღნიშნულს ყველაზე ნათლად მოწმობს XIX საუკუნის ბოლოს გაჩენილი კომპოზიტური ლექსემა მჭადაზნაურა, რაზედაც ვრცლად მოხსენებაში ვისაუბრებთ.

In the modern socio-humanitarian academic space, the semi-otic study of national food cultures is becoming increasingly relevant. Among the various definitions of culture, one approach is to view it as a system of signs and a collection of cultural texts. From this perspective, the realm of food (its taste, smell, color, texture, methods of preparation and consumption) is considered a communicative system, whose elements, like units of natural language, convey specific meanings or messages. Food evokes certain associations. Therefore, in addition to denotational meaning, it bears cultural connotations.

Food is imbued with symbolic meaning. It can serve as an indicator of the consumer's national or religious identity. Different types of food appear as markers of celebration or mourning. Moreover, food can play the role of a social code within a specific time and particular linguocultural context.

In Georgia, where a variety of grains were cultivated, mchadi (corn bread) was baked alongside with wheat bread. Before the

introduction of corn, mchadi was primarily made with millet and millet-like flour. Numerous historical, ethnographic and literary texts highlight the superiority of wheat bread. These sources testify its high value, as well as the scarcity of wheat bread among the lower social classes. All this is evidenced by lexical units referring to baked goods made from mixed flour, for instance, mchadpura (made from wheat and millet, and, from the 17th century onward, wheat and corn), kerchreli (from wheat and barley), kerdika (from barley and dika, a type of spring wheat common in the mountainous regions of Georgia) and others.

Although refined or white bread, also referred to as „pure bread”, is considered a symbol of luxury throughout the Georgian discourse, and mixed breads are associated with poverty, mchadi (corn bread) is widely regarded as a general symbol of poverty in the Georgian gastroculture.

Mchadi (corn bread) bears the symbolic meaning of poverty, serving as the daily food of the peasantry. Its role as a socio-economic code is confirmed by numerous examples of oral folk literature and diverse literary contexts. This is most clearly illustrated by the composite lexeme of the 19th century – „*mchadaznaura*” (an impoverished nobleman who feeds on corn bread). This term will be discussed in greater detail in the presentation.

ინგა სანიკიძე

Inga Sanikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**XII საუკუნის ცოცხალი მეტყველება და
„ვეფხისტყაოსანი“**

**The Living Speech of the 12th Century and
*The Knight in the Panther's Skin***

საკვანძო სიტყვები: XII საუკუნის ენა, „ვეფხისტყაოსანი“,
ცოცხალი მეტყველება, „ვეფხისტყაოსანი“.

Keywords: 12th century language, living speech,
The Knight in the Panther's Skin.

თითოეული ენა მის მიერვე განსაზღვრული მოცემულობიდან ავითარებს პოტენციურ თავისუფლებას, რომელიც მოსაუბრე კოლექტივს საშუალებას აძლევს, შემოქმედებითად მიუდგეს ენობრივ ფაქტებს და წარმოქმნას სემანტიკურად მოტივირებული ახალი ოდენობა. ჩვენ მიერ ნათქვამი უპირველესად შეეხება ფრაზული ხასიათის გამოთქმებს, რომლებსაც არსებითად ცოცხალი მეტყველება წარმოშობს.

ყურადღებას იქცევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში დაფიქსირებული ფრაზული ხასიათის ის სინტაგმები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ენაშიც მაღალი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. ასეთებად მოიაზრება შესიტყვებები: „თავი მოიკლა“, „სული ამოხადა“ და „რას ჰგავს ეგ[ე]!“

„თავი მოვიკალ“, მნიშვნელობით – „თავი დავიღუპე, თავს უბედურება დავიტეხე“, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ავთანდილისა და ფატმანის დიალოგისას გვხვდება („თავი მოვიკად უთმინოდ სიყვარულითა შენითა“ [210, 1093]), კერძოდ, მაშინ, როცა ჭაშნაგირის მუქარის შემდეგ თვითკრიტიკულობის გზაზე დამდგარი ვაჭართუხუცესის ცოლი საკუთარი საქციელის შედეგს ოჯახის მოსალოდნელ გაპარტახებად აღიქვამს.

საყურადღებოა სასაუბრო მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული ფრაზული ხასიათის ისეთი სინტაგმაც, როგორიცაა „სული ამოხდა“ // „სული ამოხადა“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „ამოხდა“ ზმნის ფიგურალურ მნიშვნელობად ფიქსირებულია „ამოუვა“, ხოლო „სული ამოხდება“ განმარტებულია, როგორც „სულს დაღევს, – მოკვდება“ [ქეგლ 1950, სვ. 441-442]. საქმე ისაა, რომ რუსთველურ კონტექსტში დასახელებული ფრაზული შესიტყვება მეტისმეტ გარჯას, გადამეტებულ დაღლას, ძალების გამოცლას, სიკვდილის პირამდე მიყვანას მოიაზრებს (სული ამომხადა – ლამის მომკლა): „თქვენ ერთმანეთი არ მოგხვდეს, მე სუდნი ამომხადენით!“ [180, 919].

არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსთველური ფრაზა „ჰგავსო ეგე რასა!“ [„მას ეწყინა, არ დაბრუნდა, თქვა, თუ: „ჰგავსო ეგე რასა!“ [209, 1085]. თანამედროვე ცოცხალი მეტყველები-სათვის დამახასიათებელი „რას ჰგავს ეგ //ეს!“ ან მისივე პარა-ლელური ვერსიები: „რას ჰგავს შენი საქციელი!“ და მისთანა-ნი ფრაზული ხასიათის მექონეა, რადგან ჰ-გავს-ს (ძვ. ქართული – ჰგვანდა) ზმნის არცერთი ის შინაარსი, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მოცემული, პირდაპირ ვერ გამოხატავს განსახილველი შესიტყვების შინაარსს. მას შეუ-ფერებლობის, მიუსადაგებლობის სემანტიკა გასდევს და თა-ნამედროვე ქართულშიც ძირითადად წარმოითქმის წყენის, გაბრაზებისა თუ უკმაყოფილების გრძნობის გამოხატვისას.

Each language, proceeding from the conditions defined by it-
self, develops a potential freedom that allows the speaking commu-
nity to approach linguistic facts creatively and generate a semanti-
cally motivated new body of expressions. What we have said refers
primarily to phrasal expressions, which are essentially produced by
living speech.

- What draws attention are the phrasal-type syntagms found
in the text of *The Knight in the Panther's Skin*, which are still
very much alive in the modern Georgian language. Such ex-
pressions include: 'Killed himself,' 'Took his soul' and 'What
manner of thing is this!'

The phrase '*tavi movikal*' (I killed myself), with the meaning –
'I have destroyed myself, I have brought misfortune upon myself'
– appears in *The Knight in the Panther's Skin* during the dialogue
between Avtandil and Fatman ('I killed myself, unable to endure,
consumed by love of thee' [210, 1093]). It occurs specifically at the
moment when, after Chashnagir's threat, the wife of the Chief Mer-

chant, having taken the path of self-criticism, perceives the outcome of her own actions as the impending destruction of her family.

Noteworthy is another phrasal-type syntagm, quite widespread in spoken Georgian, such as ‘*suli amokhda*’ // ‘*suli amokhada*’ (‘the soul departed’/‘took out his soul’). According to the *Explanatory Dictionary of the Georgian Language*, the verb ‘*amokhda*’ is recorded in its figurative meaning as ‘to come out, to depart,’ while the phrase ‘*suli amokhdeba*’ is defined as ‘will lose the soul – will die’ [EDGL 1950, cols. 441-442]. The point, however, is that in Rustvelian context this phrasal expression implies extreme exertion, excessive fatigue, exhaustion of strength, bringing someone almost to the point of death (‘*suli amomkhada*’ – ‘he nearly killed me’): ‘*Do not quarrel among yourselves, you have taken my soul out!*’ [180, 919].

Also significant is the Rustvelian phrase ‘*hgavso ege rasa!*’ (‘what manner of thing is this!’) [“Offended, he did not return, exclaiming: ‘What manner of thing is this!’” [209, 1085]]. In modern spoken Georgian the expressions ‘*ras hgavs ege/ es!*’ (‘what manner of thing is this!’) and their parallel versions such as ‘*ras hgavs sheni saqmeieli!*’ (‘what does your conduct look like!’) and the like, are of a phrasal character. This is because none of the meanings of the verb *h-gav-s* (Old Georgian – *hgavanda*) recorded in the *Explanatory Dictionary of the Georgian Language* can directly convey the sense of the expressions under discussion. Rather, they carry the semantics of inappropriateness or unsuitability and in modern Georgian they are uttered primarily to express a feeling of offense, anger, or dissatisfaction.

რუსუდან საღინაძე

Rusudan Saginadze

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**რამდენიმე სიტყვაფორმის სემანტიკური
დიფერენციაციის საკითხისათვის
(ნორმირების ასპექტით)**

**For the issue on Semantic differentiation of Several
Word Forms
(From the Perspective of Standardization)**

საკვანძო სიტყვები: სალიტერატურო ენა, სემანტიკა,
ნორმა, პრინციპები

Keywords: literary language, semantics, norm, principles

სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობასა და ბუნებრიობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი, კერძოდ: როგორია ეროვნული ცნობიერება და საზოგადოებრივი აზროვნება; როგორ იციან მოქალაქეებმა სალიტერატურო ენის კანონები; არის თუ არა სტანდარტული ენის ნორმები მტკიცედ ჩამოყალიბებული, ობიექტურ პრინციპებზე დამყარებული და სხვა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები დიდი ხნის დადგენილია. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ გვაქვს ერთი საუკუნის ნორმები, რომლებიც ემყარება XX საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველ ენათმეცნიერთა თავდადებული შრომისა და ძიების შედეგად შემუშავებულ ნორმირების პრინციპებს.

ენის შინაგანვითარების კანონიდან გამომდინარე, დრომ ბევრი რამ შეცვალა ქართულში. ფორმათა ძიებისა და დამკვიდრების პროცესში, დიდი ხანია, გაჩნდა ახალი ენობრივი მოვლენები. სიახლეები აისახა ცოცხალ მეტყველებაშიც. შესაბამისად, სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან არსებული ექსპერტთა კომისიის ძალისხმევით დაწყებულია სადავო ენობრივ ფორმათა მოწესრიგება, ნორმათა განახლება.

ჩვენი კვლევის მიზანია გარკვევა იმისა, თუ რამდენად მყარია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, როგორია მიმართება ცოცხალ მეტყველებასა და ენა-იდეალს შორის. ამ მიზნით განვიხილავთ თანამედროვე ქართულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე სიტყვაფორმის სემანტიკური დიფერენციაციის საკითხს ნორმირების ასპექტით.

როგორც ცნობილია, ზოგჯერ ენა ნორმის თვალსაზრისით მიუღებელ ფორმას კი არ უარყოფს, არამედ იყენებს ლექსიკის გასამდიდრებლად, ანიჭებს განსხვავებულ სემანტიკას და ამკვიდრებს ამოსავალი კანონზომიერი ფორმის

გვერდით. ასეთია, მაგალითად, ფონეტიკურად შეპირობებული ისეთი დიფერენცირებული ფუძეები, როგორიცაა: **აპატივებს – აპატიებს (პატივებ > პატივებ)**. ორივე სიტყვაფორმა დამკვიდრებულია სალიტერატურო ქართულში, მისაღებია, გამართლებულია ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპით, სავალდებულოა როგორც სალიტერატურო ენის, ისე, საერთოდ, ენის თვალსაზრისითაც, ოღონდ ორივე არის განსხვავებული გამოყენების არეალისა: პირველი, **აპატივებს** – 1. პატივს სცემს, პატივისცემით ეპყრობა; 2. პატივს, სასუქს აყრის, ანოყივრებს, აპოხიერებს (მიწას) (ქეგლ) – შედარებით ნაკლები გამოყენებისა, ხოლო მეორე, **აპატიებს** – ჩადენილი დანაშაულისათვის, ცოდვისათვის არ დასჯის, დანაშაულს, ცოდვას არ მოჰკითხავს, მიუტევებს, შეუწდობს (იქვე) – უფრო მეტად გავრცელებული.

ეს მაგალითებიც ცხადყოფს, რომ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპი ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაც არის. მისი გათვალისწინება აუცილებელია სალიტერატურო ენის ნორმირების დროს. სწორედ ამ პრინციპის მოშველიებით განვიხილავთ ისეთ ვარიანტებს, როგორიცაა: **პასუხობს || ჰპასუხობს – უპასუხებს... კარნახობს || ჰკარნახობს – უკარნახებს, გეახელი || გიახელი და სხვა.**

The vitality and naturalness of a literary language are determined by many factors. Among these, the attitude of society towards its native language plays an important role – namely, what the national consciousness and public thinking are like; how well citizens know the laws of the literary language; whether the norms of the standard language are firmly established and based on objective principles or not, and other related aspects.

The norms of the modern Georgian literary language were established long ago. It can be said that today we follow the norms that have existed for about a century, based on the principles of standardization developed through the dedicated work and research of Georgian linguists in the 1920s and 1930s.

Based on the law of internal language development, time has brought many changes to Georgian. In the process of seeking and establishing linguistic forms, new phenomena have emerged, which have also been reflected in everyday speech. Accordingly, through the efforts of the Expert Commission of the State Language Department, the process of regulating the disputed linguistic forms and updating the norms has begun.

The aim of our research is to clarify how stable the norms of the modern Georgian literary language are and what the relationship between living speech and the language ideal is. Accordingly, the study will examine the issue of semantic differentiation among several word forms characteristic of modern Georgian from the perspective of linguistic standardization.

As is well known, a language sometimes does not reject a form that is unacceptable from the perspective of the norm, but instead uses it to enrich its vocabulary, assigns new semantic value to it, and establishes it alongside the regular base form. For example, phonetically conditioned differentiated stems such as **აპატივებს apativebs – აპატიებს apatiebs (პატივებ > პატიებ) (forgives)** belong to this group. Both word forms are established in literary Georgian. They are acceptable, justified by the principle of semantic differentiation of forms, and mandatory both by means of literary language and language, in general. However, they both have different areas of use: the first, **აპატივებს apativebs (forgives)** – 1. Respects, treats with respect. 2. Respects, fertilizes, cultivates, enriches (the land) (KEGL) – of relatively less usage, and the second, **აპატიებს apatiebs (forgives)** – does not punish for a crime, for sin committed, – forgives, pardons (ibid.) – more common.

These examples also demonstrate that the principle of semantic differentiation of forms is one of the means of enriching the lexical fund. It is necessary to take it into account when standardizing the literary language. It is with the help of this principle that we consider such variants as: პასუხობს pasukhobs || ჰპასუხობს hpasukhobs (answers) – უპასუხებს upasukhebs (answers)... კარნახობს karnakhobs || ჰკარნახობს hkarnakhobs (dictates) – უკარნახებს ukarnakhebs (dictates), გეახელი geakheli (visited) || გიახელი giakheli (ate) and others.

ლია ქაროსანიძე

Lia Karosanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics

**ქართული გრამატიკული აზრის კვლევის საკითხები
(ძველი და თანამედროვე თვალსაზრისები)**

**Issues in the Study of Georgian Grammatical Thought
(Old and Present-day Viewpoints)**

საკვანძო სიტყვები: ენობრივი თეორიები, ბერძნული
ენობრივი ნორმები, გრამატიკის ისტორია,
ალექსანდრიელი გრამატიკოსები.

Keywords: linguistic theories, Greek linguistic norms,
history of grammar, Alexandrian grammarians

გასული საუკუნის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება სრულიად განსხვავებული შეხედულებები მთელი რიგი გრამატიკული საკითხების – ცნებების, ტერმინების, განმარტებების – შესახებ. ერთ-ერთი მწვავე საკითხი, რომელმაც სამეცნიერო კამათი გამოიწვია, ძველ ქართულ გრამატიკულ თხზულებებში ასონიშნებისა და ბგერების განმარტება იყო. მაგალითად, ელენე ბაბუნაშვილის მოსაზრებით, ტერმინი ასო ანტონ I-ის გრამატიკაში „ბგერას“ აღნიშნავს, „თუმცა იმის გამო, რომ ანტონი, როგორც ყველა მისი თანამედროვე გრამატიკოსი, ვერ ახერხებს ბგერისა და ასოს ერთმანეთისაგან გამიჯვნას, მისი გრამატიკის ორივე რედაქციაში ტერმინი „წიგნი“ და „ასო“ აბსოლუტურად სინონიმები არიან როგორც ბგერის, ისე ასოს მნიშვნელობით“ („ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“, 1970). ის, რომ ანტონის ეპოქის ძველ გრამატიკოსებს უჭირთ ბგერისა და ასოს გამიჯვნა, ხშირად მეორდება მე-20 საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში.

იგივე თვალსაზრისი არსებობდა ძველი ბერძენი გრამატიკოსების შესახებაც, რომ ბერძნები, რომლებსაც ეკუთვნით პირველი ევროპული გრამატიკა, ასოსა და ბგერას ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდნენ. ეს თვალსაზრისი დასტურდება ანტიკური გრამატიკული თეორიების შესახებ საბჭოთა პერიოდში ყველაზე ცნობილ და გავრცელებულ წიგნშიც – ტრონსკის „ენისა და სტილის ანტიკურ თეორიებში“ (1936 წ.). ტრონსკის გამოკვლევა გარკვეული სახელმძღვანელო იყო ანტიკურ-ბიზანტიური ხანის ენობრივ თეორიებზე სამსჯელოდ. მასში სამეცნიერო კვლევასთან ერთად მოცემულია ბერძნული ენობრივი წყაროების ნაწყვეტები რუსულად. ასო-ბგერის შესახებ იმავე აზრს ვხვდებით ბ. ქობალავას წიგნში „ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში“ (1976).

ამ თვალსაზრისებს სრულიად განსხვავებულად წარმოაჩენს ქართული გრამატიკული აზროვნების საფუძველი და

დასაყრდენი - ანტიკურ-ბიზანტიური წყაროები. როგორც ცნობილია, ასო-ბგერებისა თუ სხვა გრამატიკულ ცნებათა ჩამოყალიბების ისტორია, პლატონის, არისტოტელეს, სტოელების, პერიპატეტიკოსებისა თუ სხვა ანტიკურ-ბიზანტიური ხანის ენობრივი თეორიები შესულია გრამატიკული ტექსტების კორპუსში, რომელიც 1901 წელს გამოსცა გერმანელმა მეცნიერმა ალფრედ ჰილგარდმა და რომლის გაცნობა-შესწავლა დღეს ინტერნეტარქივითაა შესაძლებელი <https://archive.org/details/dionysiithracis01merxgoog>

ენობრივი თეორიების წყაროები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ ძველი ქართველი მთარგმნელები თარგმნისას, განმარტებების წერისას, ტერმინის გადმოღებისას, დღემდე სრულად თარგმნილი არ არის, თუმცა მათ ქართული მთარგმნელობითი მეთოდის, ქართული ენობრივი ნორმების ჩამოყალიბების, ტერმინოლოგიის ისტორიისა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისას დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. დღეს უდავოა, რომ ძველი ქართველი მთარგმნელობითი სკოლა უშუალოდ ეყრდნობოდა ალექსანდრიელ გრამატიკოსთა მიერ სისტემატ ჩამოყალიბებულ ენობრივ ნორმებს, მათ შორის, როგორც ჩანს, ბერძენთა მიერ სექტუაგინტას თარგმნისას შემუშავებულ ენობრივ კანონებსაც, მაგალითად, ებრაულ სახელთა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

მოხსენებაში განვიხილავთ ჩვენს ძველსა და ახალ მოსაზრებებს ქართული ენობრივი თეორიების ჩამოყალიბების ისტორიის, მისი წყაროებისა და მათი შესწავლის მნიშვნელობის შესახებ.

Georgian scholarly literature of the previous century expressed quite distinct opinions on a number of grammatical issues, such as notions, terms, and definitions. One of the most acute problems

that gave rise to scholarly debate concerned the definitions of letter and sound in old Georgian grammatical works. For instance, according to Elene Babunashvili, the term *aso* referred to a sound in Anton I's grammar; „however, owing to the fact that Anton, like all his contemporaneous grammarians, could not distinguish between a sound and a letter, in both redactions of his grammar the terms *c'igni* and *aso* are absolute synonyms referring to both a sound and a letter.” Similar to earlier grammarians of Anton's epoch, who found it difficult to distinguish between a sound and a letter, this tendency frequently recurred in the scholarly literature of the 20th century.

The same standpoint existed regarding ancient Greek grammarians who authored the first European grammar. It was believed that they, too, were unable to distinguish between letter and sound. This view is supported by J. Tronsky's book *Ancient Theories of Language and Style* (1936), one of the most widely known and influential works of the Soviet period. Tronsky's study served as a kind of guideline for discussing the linguistic theories of the Classical and Byzantine epochs. Alongside scholarly discourse, it also includes Russian translations of excerpts of Greek linguistic sources. The same opinion concerning the distinction between letter and sound is found in I. Kobalava's book *The Concept of Phoneme in Linguistics* (1976).

These viewpoints are distinctly reflected in Classical and Byzantine sources, which served as a foundation of Georgian grammatical thought. As is well known, the history of the development of theories of letter and sound, as well as other grammatical issues, was shaped by the linguistic theories of Plato, Aristotle, the Stoics, and the Peripatetics, among others. These Classical and Byzantine theories were included in the corpus of grammatical texts published by the German scholar Alfred Hilgard in 1901, which is freely available in the Internet Archive: <https://archive.org/details/dionysiithracis01merxgoog>

The sources of the linguistic theories on which ancient Georgian translators based their translations, developed definitions, and adopted terms, have not yet been translated in their entirety. Nevertheless, they remain of great importance for the study of Georgian translation methods, the development of Georgian language norms, the history of terminology, and other major linguistic issues.

At present, it is beyond doubt that the Georgian translation school relied directly on the linguistic norms systematically developed by the Alexandrian grammarians. It is also likely that these norms included linguistic principles formulated in the process of translating the Septuagint – for instance, those concerning the inflectional rules of Hebrew nouns and other related grammatical features.

The paper discusses both old and new viewpoints on the history of the development of Georgian linguistic theories, their sources, and the significance of their study.

